ირაკლი მეგრელიშვილი

მითი სამხრეთ კავკასიური იდენტობის შესახებ

შესავალი

სამხრეთ კავკასიაში არსებული სამი სახელმწიფო - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთ გეოგრაფიულ რეგიონში მდებარეობს და მათ ამ რეგიონული ჭრილიდან გამომდინარე ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში განიხილავდნენ, როგორც რუსეთის პოლიტიკური წრეები, ასევე ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებმაც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ეს სამი ქვეყანა, ტერიტორიული სიახლოვის გამო, ერთ კონტექტსში განიხილეს (europa.eu, 2009). თუმცა, სამხრეთ კავკასიური ერთიანობა და მათი პოლიტიკური ხედვების იდენტობა მხოლოდ მითია და მათ ურთიერთსაპირისპირო უფრო ბევრი აქვთ, ვიდრე საერთო.

აღნიშნულ კვლევით სტატიაში ვეცდები წინ წამოვწიოთ ყველა ის განმასხვავებელი ნიშანი და გავაანალიზო მისი საფუძვლები, რაც მაძლევს იმის პირობას, რომ მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა, ამ სამი სახელმწიფოს პოლიტიკური მისწრაფებები ცალ-ცალკე ჭრილში უნდა განვიხილოთ. ფაქტია, რომ 2014 წლის 23 ივლის საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას (eeas.europa.eu, 2014), ხოლო სომხეთმა 2014 წლის 7 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციასთან დადო შეთანხმება ევრაზიის კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით (Reuters, 2014). აზერბაიჯანი კი ცდილობს რუსეთთან და ევროკავშირთან დამოუკიდებელი თამაში აწარმოოს და ნავთობის რესურსებით წაქეზებულმა საკუთარი მომავალი დუბაის აწმყოს დაუკავშიროს (Illis, 2012).

სწორედ, ამ რეალობიდან გამომდინარე, კვლევის საგანი და კითხვაა თუ რატომ აქვს ამ სამ სახელმწიფოს ურთიერთგამომრიცხავი და საპირისპირო საგარეო პოლიტიკა, მაშინ, როდესაც ისინი ასე ახლოს არიან გეოგრაფიულად? ჩემი პასუხი მდგომარეობს, იმაში, რომ სამხრეთ კავკასიური იდენტობა, ამ შემთხვევაში კი პოლიტიკური იდენტობა, მხოლოდ მითია და ეს პირველ რიგში რუსეთის ინტერესებში შედიოდა. მიუხედავად ზოგიერთი კულტურული მსგავსებისა და საბჭოთა პერიოდში რუსულ ელიტებთან შედარებით კავკასიური ჩამორჩენილობისა, მათ გაცილებით მეტი აქვთ განმასხვავებელი, ვიდრე საერთო. თუმცა, ამ სტატიაში ვისაუბრებთ პოლიტიკურ განსხვავებებზე და მათ საფუძვლებზე, თუ რამ განაპირობა თითქოსდა ტერიტორიულად ერთ მცირე რეგიონში მყოფი სახელმწიფოების პოლიტიკური გზების გაყრა.

თეორია, რომლითაც ჩემს ჰიპოთეზას დავამტკიცებ სამხრეთ კავკასიური ქვეყნების არაიდენტურობის შესახებ არის სოციოლოგიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის - მორის ჰალბვაქსის თეორია, რომლის მიხედვითაც არსებობს კოლექტიური მეხსიერება, რომელიც ყალიბდება ისტორიული ფაქტების საყოველთაოდ ცნობიდან და განაპირობებს საზოგადოების ქცევის წესებს. შედეგად, პოლიტიკოსები, რომლებიც ასახავენ საკუთარი საზოგადოებების ინტერესებს, შეზღუდულნი არიან თავიანთ გადაწყვეტილებებში. კოლექტიური მეხსიერების თეორიის მიხედვით, საზოგადოებრივი ცნობიერება ყალიბდება ისტორიული ხასიათის ამბებით, ნარატივებით, ტექსტებით, ქრონიკებით, სკოლის სახელმძღვანელოებით და ქმნის ისეთ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, რომ ხშირ შემთხვევაში რეალობაზე უფრო მყარია. ასეთი კოლექტიური მეხსიერება გრძელდება წლობით და საუკუნეების განმავლობაშიც კი. ამ გზით საზოგადოებაში ჩამოყალიბებული აზრი გადაეცემა თაობიდან თაობას და პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ გაატარონ საკუთარი ხალხის ინტერესები, უწევთ, პირველ რიგში, ანგარიში გაუწიონ ან თავად გახდნენ ამ საზოგადოებრივი აზრის დამცველნი (Halbwachs, 1992). სწორედ, გარკვეულმა ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობა 1991 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს ყველა მთავრობა ევროპული ინტეგრაციის მომხრე ყოფილიყო, სომხეთის პოლიტიკური ელიტა - რუსეთთან მოკავშირეობის მომხრე და აზერბაიჯანი, რომლის ერთ ოჯახზე დამოკიდებული სახელმწიფო სისტემა თავის აზიური ნავთობმომპოვებელი, ისლამისტური სახელმწიფოების დამახასიათებელი მართვის სტილით, ერთისაც და მეორესგანაც თანაბრად პარტნიორული და თანაბრად თავდაჭერილი ყოფილიყო.

ჩემი თეორიის დასამტკიცებლად გამოვიყენებ სხვადასხვა კვლევით მეთოდებს. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შევისწავლი აღნიშნული სამი სახელმწიფოს იმ ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცვლიდა ამ სახელმწიფოების მომავალს და ერთიან ჯაჭვს ქმნიდა მათი განვითარების გზაზე. მე დავეყრდნობი იმ ისტორიულ მასალებს, რომელზე დაყრდნობითაც ისწავლება ისტორია შესაბამის ქვეყნებში. ჩემი მიზანი არ არის შევამოწმო სომხური, აზერბაიჯანული ან თუნდაც ქართული ისტორიული ფაქტების სინამდვილე. უფრო მეტიც, ამ თეორიის ანალიზის მიხედვით, მიმაჩნია, რომ ხშირად სახეცვლილი ისტორიული ფაქტები უფრო მყარად იკიდებს ფეხს ადამიანთა მეხსიერებაში, ვიდრე ისტორიული რეალობა. ეს არის, სწორედ, ის სოციოლოგიური ფენომენი, რომელიც ხსნის საზოგადოებრივ ქცევას. გარდა ამისა, მოვიძიებ იმ პოლიტიკურ სტატიებს, რომელიც ახსნის სამხრეთ კავკასიური სახელმწიფოების პოლიტიკურ გზებს და გაამყარებს ჩემს არგუმენტს, თუ რატომ ვითარდებიან ეს სახელმწიფოები ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით.

სახელმწიფოების დაბადების საწყისი ეტაპები

საქართველო

იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა პირველი ისტორიულად დადასტურებული სახელმწიფო ერთეული სახელად „ქართლი“, მსოფლიო რუკაზე მხოლოდ რამდენიმე ცივილიზაცია და სახელმწიფო არსებობდა (Stearns, Adams, Schwartz, & Gilbert, 2006). ეს იყო პირველი ათასწლეული ქრისტეს შობამდე, IV საუკუნეში, როდესაც ქართლის პირველმა მეფე ფარნავაზმა გამოაცხადა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და მას მორჩილება აღუთქვა დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ეგრისის სამთავრომაც, რომლის ტერიტორიაზეც უკვე საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ელინური კულტურის ნაწილი სამეფო ტიტული და ბერძნული ქალაქ სახელმწიფოები (Gamkrelidze, 2012). სწორედ, ეს ნაწილი იყო პირდაპირ დაკავშირებული ბერძნულ კულტურასთან, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ქართლისა და ეგრისის ეთნიკური ერთიანობა განაპირობებდა ბერძნული ცივილიზაციის თავისუფლად დანერგვას, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (Gamkrelidze, 2012). ამან ასახვა ჰპოვა სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, ჯარის და გადასახადების ფორმირებაზე. იმ დროის ქართული სახელმწიფოები პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა იმ დასავლურ ცივილიზაციასთან, სადაც ჯერ კიდევ ადრე იყო საუბარი ქრისტიანულ კულტურასა და დღევანდელ დემოკრატიაზე. ხოლო იმ დროის ქართველებისგან განსხვავებით, სპარსული ცივილიზაცია და სამხრეთული იგივე მესოპოტამიის ცივილიზაცია, გახდა საფუძველი მაშინდელი აზერბაიჯანული და სომხური ეთნოსის ჩამოყალიბებისა.[1]

სომხეთი

კავკასიისგან სამხრეთით არსებული მესოპოტამია ანუ შუამდინარეთი, რომელიც დღევანდელ ერაყის ტერიტორიას წარმოადგენს, ითვლება მსოფლიოში პირველ ცივილიზაციად. სწორედ, ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა შუმერული ქალაქ სახელმწიფოები, რომლის სახელმწიფოებრივი კულტურის მემკვიდრენი იყვნენ ასურეთი და ურარტუ (Stearns, Adams, Schwartz, & Gilbert, 2006). ხოლო ამ უკანასკნელის ნანგრევებიდან გადარჩა ხალხი, რომელმაც ჰაიას ტომებთან ერთად ძვ.წ. VI ს-ში მოახდინა პირველი სომხური სახელმწიფოს ფორმირება და საფუძველი ჩაუყარა სომხური ერის დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიაში (Vardaryan, 2003).

მიუხედავად იმისა, რომ პირველმა სომხურმა სახელმწიფომ მალე (V-III სს) დაკარგა დამოუკიდებლობა და ჯერ სპარსეთის შემადგენლობაში მოექცა, ხოლო შემდეგ მაკედონიის, ძვ. წ. II საუკუნეში მან არა მხოლოდ დამოუკიდებლობას, არამედ მნიშვნელოვან პოლიტიკურ აღმავლობასაც მიაღწია.

სწორედ, სახელმწიფოებრიობის საწყის ეტაპზე მსგავსი პოლიტიკური აღზევება გახდა სომეხი ხალხის მთავარი მოტივატორი საუკუნეების განმავლობაში არ ყოფილიყო დასავლური თუ აღმოსავლური იმპერიების ცივილიზაციის ნაწილი. იგი არ იყო არც ბერძნული ცივილიზაციის გამგრძელებელი და წინააღმდეგობაში მოდიოდა სპარსულ ცივილიზაციასთანაც. მას ყოველთვის სურდა ისეთი დამოუკიდებელი ამბიციური პოლიტიკა ეთამაშა, რომელსაც ქართულ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან საერთო არაფერი ჰქონია.

[1] იხ. შემდეგი ქვეთავები.

აზერბაიჯანი

ქართული და სომხური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სამხრეთ-დასავლეთ კასპიის ზღვის სანაპიროებზე ძვ. წ. IV საუკუნეში სპარსული ცივილიზაციიდან იშვა ატროპატენა, რომლის სახელიდან მომდინარეობს სახელწოდება „აზერბაიჯანი“ (Forsyth, 2013) და რომელიც გაერთიანდა სამხრეთ კავკასიურ ხალხთან _ ალბანელებთან (Forsyth, 2013). ამ უკანასკნელის შთამომავლები მხოლოდ რამდენი ათეულ ათასს წარმოადგენენ დღევანდელი აზერბაიჯანის, საქართველოს და დაღესტანის ტერიტორიაზე (ნეშუმაშვილი, 2002). ისინი დღემდე ალბანულ დიალექტზე საუბრობენ, ხოლო სხვა დანარჩენები მე-17 საუკუნემდე საუბრობდნენ ენაზე, რომელსაც „ძველი აზარი“ ეწოდება და რომელიც ითვლება ირანულ ენათა დიალექტად (ბარტოლდი, 1935).

სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრები ალბანელები პერიოდულად იყვნენ სპარსეთის, მაკედონიის, რომის, სომხეთის ინტერესის სფეროში. მათ განსაკუთრებით გაუჭირდათ ერთიანი დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოს შექმნა და საბოლოოდ, VIII საუკუნიდან ატროპატენასთან, იგივე ირანის აზერბაიჯანთან გაერთიანებით ჩაუყარეს საფუძველი ახალ აზერბაიჯანულ სახელმწიფოს (ბარტოლდი, 1935).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა სამივე სახელმწიფო, ისინი სრულიად სხვადასხვა ცივილიზაციებიდან წარმოიშვნენ. სწორედ, ამან განაპირობა მათი შემდგომი ურთიერთდამოუკიდებელი განვითარება.

ეთნიკური და რელიგიური იდენტობა

სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს სხვადასხვა ცივილიზაციიდან წარმოშობა არ არის ერთადერთი მიზეზი ამ ხალხების სხვადასხვა პოლიტიკური გზით განვითარებისა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სახელმწიფოები მოქალაქეობრივ გაერთიანებას წარმოადგენენ და მრავალსაუკუნოვანმა ხალხთა მიგრაციებმა და ეკონომიკურმა თუ კულტურულმა ურთიერთობებმა უზრუნველყო სხვადასხვა ხალხების ერთმანეთში ასიმილირება, საუკუნეების განმავლობაში მაინც დიდ ფაქტორად რჩებოდა ეთნიკური წარმომავლობა და ეროვნული იდენტობა. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით მძაფრად განმასხვავებელი შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ მას ერთვოდა რელიგიური ფაქტორიც, რომელიც ამ სახელმწიფოების მძლავრ პოლიტიკურ იდეოლოგიებს წარმოადგენდა და თვითიდენტიფიცირებას ახდენდა გეოპოლიტიკაში. სამხრეთ კავკასიაში კი, სწორედ, ამ ორივე ფაქტორს საკმაო ადგილი ეკავა, რათა გამხდარიყო სამივე სახელმწიფოსათვის ურთიერთდამოუკიდებელი პოლიტიკური არჩევანის მიზეზი.

დღევანდელი ქართველები იბერიულ-კავკასიურ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. სომხები ინდო-ევროპულ ოჯახს, ხოლო დღევანდელი აზერბაიჯანელები თურქულ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან (Forsyth, 2013). შესაბამისად, სამივე სახელმწიფო სრულიად განსხვავებულ ენაზე საუბრობს და სამივეს სრულიად განსხვავებული დამწერლობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ძველ სომხურსა და ქართულ დამწერლობას შორის არსებობს მსგავსება[2]. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებიდან გამომდინარე არაპოლიტკორექტულია ეთნიკურ წარმომავლობებზე საუბარი, ეს მაინც დიდი ფაქტორია იმისა, რომ ტერიტორიულად ამ პატარა რეგიონში მცხოვრებმა ხალხებმა მძაფრად მოახდინონ ურთიერთიდენტიფიცირება, რაც შემდგომში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებშიც აისახება.

რელიგიური ფაქტორი სეკულარულ სახელმწიფოებში არ უნდა იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველი, მაგრამ ფაქტია, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ კავკასიური სახელმწიფოების იდენტობაში; განსაკუთრებით, საქართველოსა და სომხეთისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ალბანეთის მმართველებმა მე-4 საუკუნეში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადეს, მან მაინც ვერ მოიკიდა ფეხი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. აქ საკმაოდ მძლავრად იყო გავრცელებული ზოროასტრიზმი, ცეცხლთაყვანისმცემლობა, რაც სპარსეთის ოფიციალურ რელიგიას წარმოადგენდა ისლამის მიღებამდე (თინიკაშვილი დ., ჯაში ზ., 2012). ხოლო, მე-8 საუკუნიდან არაბების მიერ სამხრეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ დღევანდელ აზერბაიჯანის ტერიტოერიაზე ფართოდ გავრცელდა ისლამი და რამდენიმე საუკუნეში ეს ტერიტორიები სხვა რელიგიების არეალად აღარ ქცეულა (Forsyth, 2013).

---

[2] მიუხედავად ანბანის სხვადასხვა სტრუქტურისა და სქემისა, თვალშისაცემია ქართული ასომთავრულისა და სომხური ანბანის მოყვანილობა, 15 მათგანი მოხაზულობით ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო შინაარსი განსხვავებული აქვთ http://www.omniglot.com/writing/georgian.htm და http://www.omniglot.com/writing/armenian.htm

მსოფლიოში ისლამის ფართოდ გავრცელების და არაბების, სპარსელების, თურქ-ოსმანთა იმპერიების მცდელობების მიუხედავად, სომხეთში და საქართველოში გავრცელებულიყო ისლამი, ქრისტიანობა ამ ორი სახელმწიფოსთვის მაინც საკუთარი პოლიტიკური იდენტობის ნაწილად შენარჩუდა. თუმცა ორივე სახელმწიფომ ისტორიის ამ ეტაპზეც ურთიერთგანსხვავებული გზა აირჩია.

მე-5 საუკუნეში სომხეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ ეროვნული მმართველობა ფაქტობრივად სომხურმა ეკლესიამ შეინარჩუნა. ამას ისიც დაემატა, რომ სომხური ავტოკეფალია თეოლოგიური შეხედულებების გამო დაუპირისპირდა მსოფლიო საეკლესიო კრებას და დამოუკიდებლად განაგრძო მოღვაწეობა. დღევანდელი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია ერთადერთია მსოფლიოში და იგი მრავალი საუკუნე წარმოადგენდა სომხების ეროვნული იდენტობის ნაწილს (თინიკაშვილი დ., ჯაში ზ., 2012).

საქართველომ ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში გააკეთა პირველი არჩევანი არ ყოფილიყო არც აზიური კულტურის ნაწილი და არც დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში ეწარმოებინა. წარმოშობით სპარსელმა მირიან მეფემ ქრისტიანობის ოფიციალურად გამოცხადებით საქართველოს ბედი საბოლოოდ დაუკავშირა ევროპის ბიზანტიურ კულტურას (Lortkipanidze, 1983). ამ არჩევანის დადასტურება კი მოხდა მე-11 საუკუნეში, როდესაც მსოფლიო საეკლესიო კრება ორად გაიყო და ქართული ავტოკეფალური ეკლესია აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი გახდა, როგორც მართლმადიდებელი სახელმწიფო (თინიკაშვილი დ., ჯაში ზ., 2012).

როგორც ვხედავთ, სამი მეზობელი სახელმწიფოს წარმოშობა მოხდა სამი სხვადასხვა ცივილიზაციიდან, სხვადასხვა ეთნიკური და ენობრივი ჯგუფებიდან და სამივემ სხვადასხვა რელიგიური არჩევანი გააკეთა. მიუხედავ იმისა, რომ სამივე ერთნაირი ძალისხმევით იბრძოდა გადარჩენისთვის და დამოუკიდებლობისთვის, სამივე განსხვავებული საგარეო და საშინაო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა ისტორიული განვითარების ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპებზე.

შუა საკუნეების გადამწყვეტი მომენტები

მას შემდეგ, რაც სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა სამი სახელმწიფო და საკუთარი განვითარებისათვის სამივე განსხვავებულ გზას დაადგა, სწორედ, შუა საუკუნეებში მოხდა ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე განსაზღვრეს ამ სახელმწიფოების პოლიტიკური ბედი. პირველ რიგში, ეს იყო რელიგიური თვითიდენტიფიკაცია. თუმცა, ამის გარდა, კიდევ მოხდა მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები, რომლის გავლენაც საუკუნეები გაგრძელდა:

სომხეთი

ჯერ კიდევ შუასაუკუნეებამდე, IV საუკუნეში, როდესაც სომხეთი აღმოსავლეთ რომის იმპერიამ, იგივე ბიზანტიამ და სპარსეთმა გაიყო, დასავლეთ სომხეთში ბერძნებმა მეფობა გააუქმეს (მ. ხორენაცი, 1984). ამ ნაბიჯმა, კიდევ უფრო დააშორა სომეხი ხალხი ბერძნულ კულტურას, რადგან ეს არ იყო სომხეთის ვასალად ან მოხარკე ქვეყნად გადაქცევა, ეს იყო სომხური სახელმწიფოებრიობის განადგურება. ამას კი საუკუნეების განმავლობაში შეეძლო გამოეწვია სომეხ ხალხში მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევა დასავლეთიდან წამოსული საფრთხის მიმართ.

სომხეთი რამდენჯერმე აჯანყდა საკუთარი დამოუკიდებლობის აღსადგენად, როგორც ბერძნების, ასევე სპარსელების და არაბების წინააღმდეგ. მუდმივი მარცხის მიუხედავად, ბაგრატუნების დინასტიის მეთაურობით მათ მაინც შეძლეს საკუთარი სამეფოს აღდგენა IX საუკუნეში, თუმცა ორ საუკუნეში, ისევ ბიზანტიის აგრესიის შედეგად, სომხეთში კვლავ გაუქმდა სახელმწიფოებრიობა (Forsyth, 2013). ეს იყო გადამწყვეტი ისტორიული მოვლენა სომეხი ხალხისთვის, რადგან მას შემდეგ სომხეთში სამეფო კარი აღარ აღმდგარა (იხ. თავი 6).

დამოუკედებლობა დაკარგული სომხები ხშირად იბრძოდნენ სამეფოს აღსადგენად, მაგრამ მუდმივი შევიწროვების ფონზე მათი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შუა საუკუნეებში დაიწყო ემიგრაცია და დასახლებები შექმნეს, როგორც მეზობელ სახელმწიფოებში, ასევე აღმოსავლეთ ევროპაში და დღევანდელი რუსეთის ტერიტორიებზე. თავდაპირველად სომხების ემიგრაციებს იძულებით გადასახლების ფორმა ჰქონდა, რასაც ბიზანტია ახდენდა თავის შიდა ტერიტორიებზე, ხოლო შემდეგ სომხებმა ეტაპობრივად აითვისეს მეზობელი თუ შორეული სავაჭრო ქალაქები და შექმნეს გავლენიანი დიასპორები (Микаелян, 1952). სწორედ, შუა საუკუნეების ამ ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობა, რომ დღესაც,

საქართველოსგან და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სომხეთს ძლიერი დიასპორა გააჩნია მსოფლიოს ბევრ წერტილში.

საქართველო

სომხეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოვლენები ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ეგრისის/კოლხეთის სამეფო, რომელიც მთლიანად ბიზანტიის და რომის კულტურის ნაწილს წარმოადგენდა, არასოდეს გამხდარა ქართლისადმი წინააღმდეგობრივი ფაქტორი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოსაცხადებლად, ანდა იმისთვის, რომ კიდევ უფრო დაეკავშირებინა თავისი მომავალი რომსა და ბიზანტიისათვის და კიდევ უფრო დაშორებოდა სპარსეთს.

გარდა ამისა, სომხეთისგან განსხვავებით ერთიანი საქართველოს ფორმირების (X ს.) და მართლმადიდებლურ სივრცეში დარჩენის შემდეგ, საქართველომ პოლიტიკური ზეობის ხანას მიაღწია. XI-XII საუკუნეებში მისი ტერიტორია მთლიანად მოიცავდა სამხრეთ კავკასიას და კონტროლს ამყარებდა ჩრდილო კავკასიაზეც (Metreveli, 1995). სწორედ, ამ პერიოდში, საქართველო იქცა ევროპული ქრისტიანული სახელმწიფოების მთავარ პარტნიორად რეგიონში. ევროპული და ბიზანტიური კულტურა გახდა საქართველოს განუყოფელი ნაწილი და მიუხედავად მონღოლების ორ საუკუნოვანი ბატონობისა, მან შეინარჩუნა სამეფო დინასტია და XIV საუკუნეში კვლავ დაიბრუნა ლიდერი სახელმწიფოს პოზიციები რეგიონში (Metreveli, 1995).

XV საუკუნეში კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ საქართველო მოექცა ორ ისლამურ იმპერიას შორის, დაკარგა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ბიზანტიასთან და შესაბამისად, დანარჩენ ევროპულ ქრისტიანულ სახელმწიფოებთანაც (Forsyth, 2013). თუმცა, საქართველოს შუასაუკუნეების ეს აღზევების პერიოდი იმდენად გავლენიანი აღმოჩნდა, რომ მან მაინც შეინარჩუნა სამეფო დინასტიის უწყვეტობა, რაც ნიშნავდა სახელმიფოებრიობის შენარჩუნებას და ამავდროულად, სწრაფვას მუდმივად დასავლეთისკენ, ანუ იმ დროინდელი ქრისტიანული ევროპისაკენ. მართალია, იგი რამდენიმე ნაწილად გაიყო, მაგრამ ეს სახელმწიფოებრიობა და სამეფო კარი, რომელიც მუდმივად თვითგამოყოფის რეჟიმში ამყოფებდა ქართველ ხალხს თურქეთისა და ირანის იმპერიებისგან, შენარჩუნდა XIX საუკნემდე _ რუსეთის იმპერიის გამოჩენამდე (იხ. თავი 6).

აზერბაიჯანი

სომხეთისა და საქართველოსგან განსხვავებულად წარიმართა აზერბაიჯანის შუა საუკუნეების ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ სამივე სახელმწიფო განიცდიდა არაბების, სპარსელების, სელჯუკების და მონღოლების შემოტევებს, აზერბაიჯანში, როგორც აღვნიშნე, ისლამურმა რელიგიამ მოიკიდა ფეხი. სხვადასხვა დინასტიების მმართველობის მიუხედავად, აზერბაიჯანს IX-XVI საუკუნეებში ძირითადად არაბული წარმოშობის, სპარსული დინასტიის სახელის მატარებელი შირვანშაჰები მართავდნენ (Forsyth, 2013). საქართველოსა და სომხეთისგან განსხვავებით, აზერბაიჯანში შიდა ისლამური და ეთნიკური დაპირსპირებები ხდებოდა. მაგალითად, შირვანშაჰები სუნიტები იყვნენ, ხოლო სეფიანთა დინასტია, რომლებმაც შირვანშაჰები ჩაანაცვლეს - შიიტები (ბარტოლდი, 1935). შედეგად, XVI საუკუნიდან ისინი კიდევ უფრო დაუკავშირდნენ შიიტურ ირანს და დღემდე შეინარჩუნეს ისლამის ეს მიმდინარეობა.

განსხვავებულად წარიმართა აზერბაიჯანელების ეთნო-ლინგვისტური ფორმირება. მე-11 საუკუნიდან თურქ-სელჩუკებმა, რომლებიც შუა აზიიდან გადმოსახლდნენ, ლაშქრობების შედეგად დაიკავეს სპარსეთი და მთელი წინა აზია, შექმნეს ისეთი თურქულენოვანი იმპერია, რომელმაც საფუძველი დაუდო ჯერ ოტტომანთა იმპერიას, შემდეგ თურქეთის რესპუბლიკას (Forsyth, 2013). მათი გავლენა იმდენად დიდი იყო აზერბაიჯანის მოსახლეობაზე, რომ ენა „ძველი აზარი“ ნელ-ნელა თურქულმა ენამ ჩაანაცვლა და მოახდინა ახალი ეთნო-ლინგვისტური აზერბაიჯანული ეთნოსის ფორმირება (ბარტოლდი, 1935).

ამგვარად, შუა საუკუნეების იმპერიების ბატალიებმა, ეთნიკურმა და რელიგიურმა სიმბიოზმა, ერთობ განსხვავებული და უნიკალური აზერბაიჯანის ფორმირება მოახდინა. ენობრივად ისინი თურქულ ლინგვისტურ ჯგუფს განეკუთვნებიან, ხოლო რელიგიურად სუნიტი თურქებისგან განსხვავებულ - შიიტურ მიმდევრობას, ისევე როგორც ირანელები.

რუსეთის გამოჩენა და მისი როლისამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის

ა. რუსეთის იმპერია

სანამ რუსეთის გამოჩენაზე ვისაუბრებდეთ, ზოგადად მიმოვიხილოთ იმ დროის გეოპოლიტიკური ვითარება რეგიონში. XVIII საუკუნეში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიწების უმეტესობა ირანის მფლობელობაში შედიოდა. საქართველოს სამეფოები ინარჩუნებდნენ ხელისუფლებას, თუმცა ირანს ემორჩილებოდნენ. ასევე, რეგიონზე პრეტენზიებს აცხადებდა ოტტომანთა იმპერია და მასაც ეჭირა სომხეთის და საქართველოს დასავლეთ მიწები. ამ ვითარებაში, შიდა დაპირისპირებების გამო, დასუსტდა ირანი და საბოლოოდ დაიშალა კიდეც. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რვა დამოუკიდებელი სახანო. ცალკე სახანოდ გავიდა ერევნის სახანო, რომელიც დღევანდელი სომხეთის უმეტეს ნაწილს მოიცავდა. ასევე ირანის ვასალობიდან გამოვიდა ქართული სამეფოებიც, რამაც შექმნა წინაპირობა იმისათვის, რომ კვლავ გაერთიანებულიყო ერთიან სამეფოდ (მოხდა ქართლის და კახეთის სამეფოს გაერთიანება და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები იმერეთის სამეფოსთან გაერთიანებაზე, სადაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფის შვილიშვილი გაამეფეს და რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ავტონომიურ სამთავროს მოიცავდა).

ამ საუკუნეში რუსეთი საკუთარი სამხედრო კამპანიის პიკში შევიდა და პრეტენზია გამოაცხადა კავკასიაზეც. გამუდმებული აჯანყებების მიუხედავად მან აბსოლუტური კონტროლი დაამყარა ჩრდილო კავკასიაზე და დერბენდის მხრიდან დაიკავა კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროები.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ორი ომის და ორი ზავის შედეგად, ირანთან გამარჯვებული გამოვიდა რუსეთის იმპერია და მთლიანად მის მფლობელობაში გადავიდა სამხრეთ კავკასია სამივე სახელმწიფოთი (ვაჩნაძე, 2003).

ტერიტორიული და რელიგიური საკითხები

სამხრეთ კავკასიის ანექსიის შემდეგ რუსეთმა მმართველობა საკუთარი წესების მიხედვით დაიწყო. გააუქმა ყოველგვარი სახანოები, ქართული სამეფოები თუ სამთავროები და ახალი პოლიტიკური რუკა შექმნა, რაც სამომავლოდ ამ სამ სახელმწიფოს შორის სადაო და შეიარაღებული კონფლიქტების საბაბი გახდა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მყოფი რვა სახანოდან რუსეთის იმპერიამ შექმნა ორი გუბერნია: ბაქოს და ელიზაბედის, იგივე განჯის გუბერნია. სომხეთის სახანოს შეუერთა ნახიჭევანის სახანო და ერევნის გუბერნიად აქცია. ხოლო საქართველოს ტერიტორია, აზერბაიჯანის მსგავსად, ორ მმართველობით რგოლად აქცია, თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად (ვაჩნაძე, 2003).

სომხეთი

ასეთ ტერიტორიულ მოწყობას განსხვავებული დამოკიდებულება მოჰყვა სამხრეთ კავკასიაში. განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში. ერევნის სახანოდან გუბერნიად გადაქცევა უარყოფითი ფაქტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სომხებისთვის, რადგან ამით არაფერი განსაკუთრებული არ იცვლებოდა. პირიქით, ერევნისთვის ნახიჭევანის შეერთებას და იმის განცდას, რომ სხვა სომხური მოსახლეობით დასახლებული მიწებიც შეიძლებოდა ერევნის შემადგენლობაში გადასულიყო, მხოლოდ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება მოჰყვა სომხურ მოსახლეობაში. ამას ისიც დაემატა, რომ რუსეთის იმპერიამ მოახდინა ოსმალეთის ტერიტორიის ნაწილის ანექსია და შექმნა ყარსის გუბერნია, რაც ასევე ძირითადად სომხური მოსახლეობით იყო დაკომპლექტებული (ვაჩნაძე, 2003). ასევე, სომხეთს გაუჩნდა მთიანი ყარაბახის შემოერთების და დღევანდელი თურქეთის ტერიტორიების ოსმალებისგან გათავისუფლების შანსი. როგორც ვიცით, სომხეთის სამეფო XI საუკუნიდან აღარ არსებობდა და რუსეთის იმპერიის ეს ნაბიჯები იმ დროისათვის მისთვის მხოლოდ საუკეთესო პოლიტიკური ვარიანტი უნდა ყოფილიყო. ხდებოდა სომხური მოსახლეობით დასახლებული მიწების გათავისუფლება ისლამური მმართველობისგან, თუმცა კი საომარ ნაღმებს ქმნიდა აზერბაიჯანთან და თურქეთთან.

კომფორტულ პირობებში აღმოჩნდა სომხური ეკლესიაც. მის მრევლს აღარავინ ემუქრებოდა ფიზიკური განადგურებით და ისლამის ძალადობრივად გავრცელებით. სომხური ეკლესია არ წარმოადგენდა არც რომის პაპის ქვეშევრდომს და არც მართლმადიდებლური სამყაროს წევრი იყო. ამის გამო რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას დიდი ინტერესი არ გამოუჩენია მის მიმართ, რაც კიდევ ერთი მიზეზი აღმოჩნდა სომეხი ხალხისთვის მხოლოდ პოზიტივთან ასოცირებულიყო რუსეთის იმპერია.

საქართველო

ფაქტია, როგორც სომხეთში, რუსეთის გამოჩენას საქართველოშიც დადებითი მოლოდინი უნდა შეექმნა, რადგან რამდენიმე საუკუნოვანი ისლამური სამყაროს ალყის შემდეგ, პირველად გამოჩნდა ქრისტიანული სახელმწიფო მის თვალსაწიერში. ეს იმპერია კი ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად ვითარდებოდა. ანუ იყო ის, რაც საქართველოსთვის აუხდენელ ოცნებას წარმოადგენდა საუკუნეების განმავლობაში.

მოხდა კი პირიქით. საქართველოში გაუქმდა სამეფო კარი (Forsyth, 2013) და ეკლესიის ავტოკეფალია (გურული, 2010).

ამ ნაბიჯმა ის რეაქცია გამოიწვია, რაც მანამდე საუკუნეების განმავლობაში, დაარსების დღიდან არ მომხდარა. სამეფო ტახტის გაუქმება სახელმწიფოებრიობის განადგურების ტოლფასი იყო. როგორც მანამდე ვნახეთ, მიუხედავად სხვადასხვა სახელმწფოების საქართველოზე მმართველობისა, სამეფო დინასტია, ყოველთვის ინარჩუნებდა ტახტს, რაც ყოველთვის ტოვებდა დამოუკიდებლობის განცდას.

ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიაც ოფიციალურად მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და ერთგვარი შვება უნდა მოეტანა ქართული ეკლესიისთვის, პირიქით მოხდა. რუსეთმა გააუქმა საქართველოს ავტოკეფალია და მთლიანად რუსულ ეკლესიას დაუქვემდებარა.

ასეთმა რადიკალურმა ნაბიჯებმა და მოლოდინების გაცრუებამ საქართველოში არაერთი ლოკალური აჯანყება გამოიწვია და ახალი მტრის ხატის შექმნას შეუწყო ხელი (Metreveli, 1995).

აზერბაიჯანი

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელი მოსახელეობა ისლამის მიმდევარი იყო, ხოლო რუსეთის იმპერია ქრისტიანული, XIX საუკუნეში რადიკალური პოლიტიკა არ გატარებულა აზერბაიჯანის რელიგიის მიმართ. ისინი ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ანექსირებული სხვა ისლამური ხალხი, არ განიცდიდნენ რუსეთისგან იძულებით გაქრისტიანებას. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ხდებოდა სხვადასხვა სექტანტური მოსახლეობის ჩამოსახლება, მაგრამ ამას არ ჰქონია ისეთი მასიური სახე, რომ განსაკუთრებული წინააღმდეგობა დაენერგა აზერბაიჯანელ მოსახლეობაზე. როგორც პროფ. სარდიონ ზედელაშვილი აღნიშნავს, „აზერბაიჯანში შენარჩუნდა სასულიერო სასამართლოები, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საკუთარ მომხრეებად განეწყო ამ ქვეყნის ელიტა. ასევე რუსეთის იმპერია ითვალისწინებდა ირანისა და თურქეთის ფაქტორსაც, რადგან არ სურდა ამ ორი სახელმწიფოსთვის კიდევ ერთი დამატებითი, რელიგიური კონფრონტაციის მიზეზი მიეცა“ (ს. ზედელაშვილი, 2015).

არც ტერიტორიულ მოწყობას გამოუწვევია დიდი წინააღმდეგობა აზერბაიჯანში. სახანოების ორ გუბერნიად გაერთიანება მოსახლეობისთვის ბევრს არაფერს ცვლიდა. პირიქით, შეწყდა ამ ტერიტორიების ირანელებისგან და ოსმალებისგან ფიზიკურად განადგურება და გაჩნდა შანსი მშვიდობიანად განვითარებისთვის. ქართველებისგან განსხვავებით, წინააღმდეგობის მუხტი გროვდებოდა არა რუსების, არამედ სომხების მიმართ, რომლებსაც მანამდე ისლამური მმართველობის სახანოებად აღქმული მიწები სომხურ სივრცეში გადაჰქონდათ.

მშვიდობის დამყარება და ნაციონალიზმის აღზევება

რუსეთის იმპერიის მიერ სამხრეთ კავკასიის ანექსიას დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვა, რომელმაც განსხვავებული ასახვა ჰპოვა ამ რეგიონების ხალხებზე.

პირველ რიგში, შედარებით სტაბილური პერიოდი დადგა და სამივე სახელმწიფო დაემშვიდობა ირანელებისგან და ოსმალებისგან გამანადგურებელ შემოტევებს, რაც ფიზიკურ საფრთხეს უქმნიდა მათგან რადიკალურად განსხვავებულ სომხებს და ქართველებს. ამან კი კულტურული და ეკონომიკური პროგრესი გამოიწვია სამივე სახელმწიფოში (Forsyth, 2013). (განსხვავებით ჩრდილო-კავკასიისგან, სადაც რუ-

სეთის იმპერიის სამხედრო კამპანიების შედეგად ფიზიკურად განადგურდნენ ჯიქები და უბიხები, ხოლო ასიათასობით აფხაზი გადასახლებული იქნა ოსმალეთში (ბ., 2014).)

მეორე დადებითი, რაც იმ პერიოდში კავკასიაში მოხდა, იყო კასპიის ზღვაში ნავთობის აღმოჩენა, რამაც განსაკუთრებული რეგიონული მნიშვნელობა შესძინა ბაქოს (მიქაძე, 2002). დაიწყო ეკონომიკური აღზევება, ბაქოს მოსახლეობის ზრდა და განვითარება. თუმცა, „აზერბაიჯანის სწრაფი ეკონომიკური ზრდა თავისთავად რუსული პოლიტიკური ისტემბლიშმენტის გავლენის ქვეშ ექცეოდა, ნავთობმომპოვებელ პროცესში აზერბაიჯანული ელიტაც ჩართული იყო და ამით იმპერია დამატებით კეთილგანწყობას იძენდა“ (ს. ზედელაშვილი, 2015).

და ბოლოს, რაც ნაკლებად იყო თავად რუსეთის იმპერიის სურვილი, მაგრამ რაც რუსეთის გავლით სამხრეთ კავკასიამდე ევროპიდან შემოვიდა, იყო დასავლური განმანათლებლობა და ახალი პოლიტიკური იდეოლოგიები. ამის შედეგად, სამივე სახელმწიფოში გაჩნდნენ ელიტები, რომლებსაც განათლება რუსეთსა და დასავლეთში ჰქონდათ მიღებული. ახალი ბურჟუაზიული კლასები ისეთი ნაციონალისტური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ, რომლებმაც ევროპაში ახალი სახელმწიფოების შექმნას ჩაუყარა საფუძველი. შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი გაგება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს დამოუკიდებლობა სამეფო დინასტიასთან იყო ასოცირებული, წარსულს ჩაბარდა. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის წყარო და გარანტი გახდა ერი, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა.

ნაციონალისტური იდეების პარალელურად სამხრეთ კავკასიაში ფეხი მოიკიდა სოციალისტურმა იდეებმა, შეიქმნა მუშათა პროტესტანტული კლასი და პროფკავშირები (ვაჩნაძე, 2003). ასეთმა ახალმა სამხრეთ კავკასიურმა ელიტებმა ნიადაგი მოამზადეს და 1918 წელს დამოუკიდებლობამდე მიიყვანეს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო, რაც მხოლოდ სამიოდე წელი გაგრძელდა (Forsyth, 2013).

დამოუკიდებელი ევროპული ტიპის ახალმა სახელმწიფოებმა ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობა მოახერხეს, რათა დამოუკიდებლად განეგრძოთ არსებობა. მაგრამ ამის მიუხედავად, დამოუკიდებლობის პირველივე წელს, ერთმანეთს შორის მოხდა შეიარაღებული კონფლიქტები,[3] რამაც ღრმა დაღი დაასვა ამ სახელმწიფოების ურთიერთობებს და არსებული პრობლემები დღემდე მოიტანა.

სამხრეთ კავკასიის შიდა ტერიტორიული დავები

იქიდან გამომდინარე, რომ სამივე სახელმწიფო დიდ იმპერიებთან შედარებით მცირე ტერიტორიას იკავებდა და ხდებოდა სამივე მათგანის იმპერიების მხრიდან ანექსირება, შევიწროება, ასიმილირება და დევნა, სამივე სახელმწიფოს ტერიტორიების საზღვრები საუკუნეების განმავლობაში გამუდმებით იცვლებოდა. ამ სამ სახელმწიფოს შორის ბევრია ისეთი ტერიტორია, რომელსაც გარკვეული ხნის განმავლობაში ხან ერთი აკონტროლებდა, ხან მეორე და ხან მესამე. ამას გარდა იმპერიებისგან შევიწროების თუ სავაჭრო ურთიერთობების შედეგად კომპაქტური დასახლებები ჩნდებოდა მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ან ზოგჯერ თავად ეს ტერიტორიები გადადიოდა მეზობელი სახელმწიფოს საზღვრებში. შედეგად, მათემატიკური სიზუსტით იმის განსაზღვრა, რომელ სახელმწიფოს ზუსტად რამდენი ტერიტორია ეკუთვნის, არარეალური იყო, არათუ სამხრეთ კავკასიაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. მსგავს ტერიტორიულ ამბიციებს მივყავდით ითნიკურ შუღლამდე, სამეზობლო კონფლიქტამდე ან თუნდაც მსოფლიო ომამდე.

ტერიტორიებთან დაკავშირებით დიდი იყო სომხეთის ამბიციები. ვინაიდან, რუსეთის შემადგელობაში ერევნის გუბერნიის საზღვრები გაფართოვდა, გაჩნდა ყარსის გუბერნია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხებს მიეცათ შანსი კიდევ მეტი ტერიტორია შეერთებინათ რუსეთის იმპერიის საზღვრებში.

სომხეთი საკუთარ ამბიციებს ძირითადად მოსახლეობის განსახლებით წყვეტდა. საქართველო საკუთარ საზღვრებს აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის იმპერიის გამოჩენამდე არსებულ საზღვრებში, ხოლო დასავლეთ საქართველოს მისი ისტორიული კულტურული და სამეფო დინასტიის აღზევების აკვნიდან, ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ხედავდა (ვ. გურული, ლ. ჯიქია,, 2013). ხოლო აზერბაიჯანი პრეტენზიას აცხადებდა, როგორც აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ასევე რუსეთის იმპერიის გამოჩენამდე არსებული სახანოების მმართველობის პერიოდში არსებულ საზღვრებზე.

1918-1920 წლებში ტერიტორიულმა დავებმა სამივე სახელმწიფო შეიარაღებულ კონფლიქტებამდე მიიყვანა, შეცვალა საზღვრები და საფუძველი დაუდო საუკუნოვან დავებს ამ სახელმწიფოებს შორის.

[3] იხ. შემდეგი ქვეთავები

პირველი კონფლიქტი სომხეთსა და საქართველოს შორის დაიწყო. სადავო ტერიტორიას წარმოადგენდა სამხრეთ საქართველოს რეგიონი, სადაც ორენოვანი დასახლება იყო. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის არმიამ უკან დაიხია, აღნიშნული რეგიონი საბოლოოდ ორად გაიყო (ვაშაყმაძე, 2002).

მეორე კონფლიქტი, რომელიც უფრო დიდხანს გაგრძელდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოხდა. კონფლიქტრის ძირითად კერას წარმოადგენდა ნახიჭევანი, რომელიც მოგვიანებით თურქეთსა და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებების შემდეგ აზერბაიჯანს გადაეცა (პიპინაშვილი, 2009).

კიდევ ერთი და ყველაზე სისხლისმღვრელი კონფლიქტი სომხეთსა და ოსმალეთს შორის მოხდა. მას შემდეგ, რაც პირველი მსოფლიო ომის შედეგად (1914-1918), დასავლურმა კოალიციამ ოსმალეთი დაშალა და დასავლეთ თურქეთი საბერძნეთს გადასცა, ხოლო აღმოსავლეთი სომხეთს, ამ უკანასკნელს გაუჩნდა რეალური შანსი, სომხეთის საზღვრები გაეფართოვებინა და ყარსის გარდა, შეეერთებინა ქართული ქალაქი ბათუმიც, შედეგად კი პირველად ისტორიის განმავლობაში გასასვლელი გასჩენოდა შავ ზღვაზე. საბოლოოდ ოსმალეთი არ დათანხმდა მის მიერ დაკავებული ტერიტორიების დაშლას და ძლიერი ნაციონალისტური და სამხედრო კამპანიის ფონზე დაიბრუნა, როგორც საბერძნეთისთვის გადაცემული მიწები, ასევე სომხეთისთვის შეპირებული მიწები და საზავო ხელშეკრულებით, ყარსი ოსმალთის შემადგენლობაში დარჩა (პიპინაშვილი, 2009).

სომხეთის ამ მარცხს წინ უძღვოდა 1915-1918 წლების მოვლენები, რომელიც „სომხების გენოციდის" სახელითაა მოხსენიებული (გ. იაგუტოვ, რ. ბადალიან, ა. მირზოიან, ე. სააკიან, ა. ოჰანიან, , 2011).[4] ამ მოვლენამ საუკუნოდ იმოქმედა სომხეთ-თურქეთის ურთიერთობაზე. ამ ორ სახელმწიფოს დღესაც არ აქვს არანაირი ურთიერთობა ერთმანეთთან. განსხვავებით საქართველოსგან, რომლისთვისაც თურქულ-ოსმალური იმპერია მართალია, ისტორიულ მტერს წარმოადგენდა, მაგრამ 1990-იანი წლებიდან ორივე ქვეყნის დემოკრატიისაკენ სწრაფვა ყველაზე მჭიდრო პარტნიორობის საფუძველი გახდა.

ბ. საბჭოთა კავშირი

ტერიტორიული მოწყობა, საბჭოთა მმართველობა და „სამხეთ კავკასიის იდენტობის" შექმნა

რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ 1920-21 წლებში ჯერ აღიარა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა და შემდეგ მიყოლებით მოახდინა ბაქოს, მერე ერევნის და საბოლოოდ თბილისის ოკუპაცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოებში ჩატარებული არჩევნების შედეგად კომუნისტებმა და ბოლშევიკებმა ამომრჩევლების ხმათა მხოლოდ 1% მიიღეს, ეს არ გამხდარა დამაბრკოლებელი ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში ათასობით ადამიანის დახვრეტის ხარჯზე ბოლშევიკური რეჟიმის დასამყარებლად (Metreveli, 1995).

სწორედ, ამ პერიოდში გაჩნდა მცდელობა შეექმნათ „სამხრეთ კავკასიის იდენტობა" და ოკუპირებული სახელმწიფოები გააერთიანეს ერთ ფედერაციად, რომელსაც ეწოდა „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა". ამ რეგიონული სახელმწიფოს სტატუსით სამი სახელმწიფო საბჭოთა შემადგელობაში 1936 წლამდე იმყოფებოდა (ვაჩნაძე მ. , 2005). ხოლო ამ პერიოდში საბჭოთა კავშირმა შეძლო მკაცრი პოლიტიკის გატარება, საკუთარი წესრიგის დამყარება და სამომავლო ეთნოკონფლიქტური ნაღმების ჩადება.

პირველ რიგში მოახდინა ოკუპირებული რესპუბლიკების ტერიტორიული გადანაწილება (გურული ვ. , 2013). საქართველოში შექმნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა", რომელიც მოიცავდა მრავალეთნიკურ რეგიონს და მიუერთა სხვა ეთნიკურად მთლიანად ქართველებით დასახლებული სამეგრელოს ნაწილს. ასევე შექმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოც საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, ოსეთი მხოლოდ ჩრდილო კავკასიით ესაზღვრებოდა და მათი ეთნიკური წარმომადგენლები მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ სამაჩაბლოს/ცხინვალის რეგიონში, „სამხერთ ოსეთის ავტონომიური ოლქში" შევიდა არა მარტო ეს ქალაქი, არამედ მხოლოდ ქართველებით დასახლებული ქართლის რეგიონის უმეტესი ნაწილი და ისე, რომ საზღვრები არ

[4] თურქეთი დღემდე არ აღიარებს გენოციდის ფაქტს, რადგან მას მიიჩნევს იმ ეპოქის, ოსმალეთის დროინდელი ომის რეალობად, როდესაც დღევანდელი საერთაშორისო სამართლის პრინციპები არ მოქმედებდა.

იყო გამიჯნული არანაირი ბუნებრივი საზღვრითაც კი (პიპინაშვილი დ. , 2009).

აზერბაიჯანს საბჭოთა რუსეთისგან გადაეცა ორენოვანი ნახიჭევანი, ისე რომ მასთან სახმელეთო საზღვარი არ ჰქონია. ასევე მის ტერიტორიაზე გაჩნდა ორენოვანი „მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქი“ (პიპინაშვილი დ., 2009). სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტების შედეგად, ამჟამად ნახიჭევანში მხოლოდ აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, ხოლო მთიან ყარაბაღში - სომხები (პიპინაშვილი დ. , 2009). გარდა ამისა, აზერბაიჯანს გადაეცა სამხრეთ საქართველოს აზერბაიჯანელებით დასახლებული და აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებით დასახლებული მიწები (მირიანაშვილი, 2012). მიუხედავად იმისა, ეს აშკარა კონფლიქტის წინაპირობა იყო, საბედნიეროდ დღემდე რაიმე შეიარაღებული კონფლიქტის მცდელობას ადგილი არ ჰქონია, რაც სხვასხვა მიზეზებით, მათ შორის საქართველოს და აზერბაიჯანის მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების შედეგია.

„ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის“ ფარგლებში მოხდა სამივე სახელმწიფოში ასიათასობით ადამიანის გადასახლება და დახვრეტა. თითქმის მთლიანად განადგურდა სამივე სახელმწიფოს ეროვნული და სოციალ-დემოკრატიული იდეების მქონე ინტელიგენცია (ვაჩნაძე მ. , 2005). ამას დაემატა მეორე მსოფლიო ომში წასული კავკასიელების რაოდენობის განახევრება და შედეგად საბჭოთა რუსეთმა მიიღო სრულიად ახალი მხოლოდ კომუნისტური იდეებით გაჯერებული და თითქმის განახევრებული მოსახლეობა (გურული, ვ, 2013).

1953 წელს სტალინის ტირანული ეპოქის დასრულების შემდეგ, მართალია აღარ არსებობდა სამხრეთ კავკასიური ფედერაცია, მაგრამ საბჭოთა კავშირის მათდამი დამოკიდებულება არ შეცვლილა. მათ განაგრძეს ტოტალიტარული იმპერიის შენება, თუმცა 1970-80-იან წლებში მოხერხდა კიდეც ეკონომიკის განვითარდება (Forsyth, 2013). სწორედ, ამ პერიოდში გრძელდებოდა სამხრეთ კავკასიური იდენტობის დამკვიდრება მოსკოვის ცენტრალური პოლიტიკის მეშვეობით,. ის მექანიკური სიზუსტით ახორციელებდა ერთნაირ პროექტებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, რაც გამოიხატებოდა მსგავსი არქიტექტურით, ერთიანი ეკონომიკური დავალებებით, ერთიანი პოლიტიკური დირექტივებით და მართვის სტილით. ამ ფონზე მაინც სამივე სახელმწიფომ შეინარჩუნა საკუთარი ხალხების განვითარების ისტორიული მეხსიერება და უკვე საბჭოთა კავშირის გორბაჩოვისეული გარდაქმნების ფონზე სამივეგან იმძლავლა ეროვნულმა მოძრაობებმა (Forsyth, 2013).

როგორც ზემოთ მოყვანილი ისტორიული მაგალითებიდან დავინახეთ, საქართველოში ერთადერთი ისტორიული მტრის ხატი მხოლოდ ოკუპანტი რუსეთი იყო. განსხვავებით სომხეთისგან, სადაც რუსეთისადმი ლოიალობის დამოკიდებულების შენარჩუნების საბაბი უფრო არსებობდა. მათი მტრის ხატის შექმნა აზერბაიჯანისკენ იყო მიმართული, ქვეყნისკენ, რომელიც ასოცირდებოდა სომხების მუსლიმების მხრიდან მრავალსაუკუნოვან შევიწროებასთან. ამას გარდა, აზერბაიჯანი არ წარმოადგენდა ისეთი მასშტაბის სახელმწიფოს, როგორსაც საუკუნეების წინანდელი მუსლიმი დამპყრობელი იმპერიები. მას და სომხეთს თითქმის თანაბარი სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებობები გააჩნდათ. შედეგად, სომხებისთვის მუსლიმურ სამყაროზე შესაძლებელი რევანშის პირობებს წარმოადგენდა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ბრძოლა (პერტაია, 2007). საქართველოს მსგავსად არც აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობა იყო გულთბილი რუსული პოლიტიკის მიმართ, რასაც სომხეთისადმი ეროვნული შუღლის გაღვივებაც დაერთო.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის და ახალი თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ, ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფოსგან განსხვავებით, სადაც ეროვნული მოძრაობა სამომავლო ეკონომიკური პროგრამების განვითარებაზე იყო გადართული, სამხრეთ კავკასია უფრო ეთნიკური იდეების პროპაგანდას ეწეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი რეგიონის შედარება სხვა კვლევის საგანია, ფაქტია, რომ ბალტიისპირა სახელმწიფოებმა ეთნიკური დაპირისპირებების გარეშე შეძლეს არსებობის გაგრძელება, ხოლო სამხრეთ კავკასიაში დამანგრეველი ომები მივიღეთ.

საქართველოსთვის რუსეთთან ომი გამოიხატა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტებით და მარცხით. სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის კი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით, რომელიც სომხეთის მხარის გამარჯვებით დასრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა კონფლიქტში რუსეთი აქტიურად იღებდა მონაწილეობას და ფაქტობრივად კონფლიქტების ბედი, სწორედ, მან გადაწყვიტა, სამხრეთ კავკასიური კონფლიქტები დღემდე დაურეგულირებლად ითვლება. სახეზე გვაქვს სომხეთი და აზერბაიჯანი, რომელსაც გაწყვეტილი აქვთ ერთმანეთთან ყოველგვარი ურთიერთობა. საპასუხოდ სომხეთთან შეწყვეტილი აქვს თურქეთსაც ურთიერთობა, ხოლო საქართველოს რუსეთთან (პერტაია, 2007).

ასეთ პოლიტიკურად დაძაბულ, ეთნიკურად დაპირისპირებულ და ურთიერთგანსხვავებულად განვითარებული სახელმწიფოების ტერიტორიაზე, სამხრეთ კავკასიაში 1990-იანი წლების ბოლოდან ახალ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ შემოდის ევროკავშირი.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის არაერთგვაროვნება

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოში ახალი პოლიტიკური და საერთაშორისო წესრიგის დამყარება დაიწყო, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, პირველ რიგში, მსოფლიოში მშვიდობის დამყარება და ისეთი ტრაგედიის თავიდან აცილება, როგორიც მეორე მსოფლიო ომი და მისი გამომწვევი მიზეზები იყო. შედეგად, შეიქმნა გაერო, ნატო, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და დაიწყო დემოკრატიული, გამჭირვალე, ადამიანზე ორიენტირებული სახელმწიფოების ფორმირება. მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის საზოგადოებაში დანერგვა დიდ სირთულეებს წარმოადგენდა თავად ამ ღირებულებების ინიციატორ ევროპულ და ამერიკულ სახელმწიფოებშიც კი. თანდათანობით და ხშირად სისხლიანი წინააღმდეგობების შემდეგ დაინერგა მოქალაქეებს შორის სრული პოლიტიკური და სოციალური თანასწორობა, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, კულტურისა, აღმსარებლობისა თუ სქესისა. გამჭვირვალე დემოკრატიის დამკვიდრებას მოჰყვა დეკოლონიზაცია და ამ ღირებულებების სხვადასხვა ინსტიტუტების მეშვეობით უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში დანერგვა. საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი და მუდამ საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები მშვიდობის მაგალითები გახდნენ (რონდელი, 1996).

დემოკრატიულმა ფასეულობებმა ევროპული ინსტიტუტების საშუალებით ნელ-ნელა მოიკიდა ფეხი დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. იგი ეტაპობრივად გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებსაც მიადგა. შეიქმნა ევროკავშირის აღმოსავლეთის სამეზობლო პოლიტიკა, რომელშიც მოიაზრებოდა ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა და სამი სამხრეთ კავკასიური სახელმწიფო (europa.eu, 2009).

1990-იან წლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროსაბჭოში გაწევრიანება და ევროკავშირის საპარტნიორო პროგრამების განხორციელება რუსეთის მიერ ევროპული ცივილიზაციის სამხრეთ კავკასიაში შემოჭრად იქნა აღქმული. სამწუხაროდ, რუსეთი ევროკავშირს და იმ ღირებულებებს, რასაც ეს რეგიონული გაერთიანება წარმოადგენს, არ აღიქვამს, როგორც საყოველთაოს. იგი მას თავისი იმპერიალისტური ხედვით უყურებს, როგორც ახალ იმპერიულ მტერს, რასაც საპასუხო რეაქციები მოჰყვა. შეიქმნა ევრაზიის კავშირი, დაიწყო ანტიდასავლური იდეების პროპაგანდა ფსევდო კულტურული და რელიგიური მოტივებით. მოახდინა სამხედრო კონფლიქტებით ახალი ტერიტორიების ოკუპაცია (Asmus, 2010). შედეგად, სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოებმა არჩევანი გააკეთეს არა ახალ დემოკრატიულ ღირებულებებზე, არამედ იხელმძღვანელეს წარსული ისტორიული გამოცდილებიდან.

საქართველო ენერგიულად დაადგა ევროკავშირისა და ნატოს გზას, რაც გამოიხატებოდა ევროპულ სივრცეში დაბრუნებისა და რუსეთის იმპერიისგან თავის დახსნის სურვილში (ვ. შუბითიძე, ნ. წერეთელი, 2013). სომხეთი გაწევრიანდა ევრაზიის კავშირში და ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო დამოკიდებული გახდა რუსეთის ფედერაციაზე. ხოლო აზერბაიჯანმა ფრთხილი დამოკიდებულება დაიჭირა, როგორც რუსეთის, ასევე ევროკავშირის მიმართ. მას დღემდე არ აქვს მკაფიო პოზიცია ჩამოყალიბებული რომელიმე ერთი პოლუსის მიმართ და ბუნებრივი რესურსების ხარჯზე, ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებას, რაც უფრო აზიური ნავთობმომპოვებელი სახელმწოფოების მსგავსია.

საბოლოოდ ევროკავშირის ლიდერებმა გაანალიზეს სამხერთ კავკასიის ქვეყნების არჩევანი და რეგიონული პოლიტიკა შეცვალეს. ევროპულმა კომისიამ 2014 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლითაც აღიარა ევროკავშირის რეგიონული მიდგომების კრახი (Grevi & Keohane, 2014) და მთავარ ამოცანად დაისახა ქვეყნებთან ინდივიდუალური მიდგომა (Lehne, 2014). ეს პირველ რიგში გამოიხატა საქართველოს ახალ რეგიონულ ჭრილში განხილვით, როდესაც 2014 წელს საქართველო უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდა.

დასკვნა

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენდა კითხვა თუ რატომ აქვს ერთ რეგიონში, სამხრეთ კავკასიაში არსებულ სამ, ტერიტორიულად პატარა სახელმწიფოს სხვადასხვა და ურთიერთგამომრიცხავი საგარეო პოლიტიკა.

ჩემი პასუხი მდგომარეობდა, იმაში, რომ სამხრეთ კავკასიური პოლიტიკური იდენტობა მხოლოდ მითია. ეს სახელმწიფოები დღევანდელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ, არა თანამედროვე დემოკრატიული პრინციპების აუცილებლობიდან გამომდინარე, არამედ იმ ისტორიული ფაქტების შესაბამისად, რაც მათ ხალხების მეხსიერებაშია არეკლილი.

მას შემდეგ, რაც მოვახდინე სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა და გაანალიზება, აღნიშნულ კვლევაში მოვახდინე მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ისტორიული გადაწყვეტილებების ასახვა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ცვლიდა ამ ხალხების ბედს და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული განვითარების გზებს ქმნიდა.

თეორიის ანალიზის შესაბამისად, აქცენტი გავაკეთე იმ კოლექტიურ მეხსიერებაზე, რომელიც ყალიბდება აღნიშნულ სამ სახელმწიფოში სასკოლო წიგნებით, ნარატივებით, ისტორიული მითებით, ლეგენდებით და ფაქტებით. არ ვირწმუნები, რომ ისტორიის „ობიექტური“ ჭეშმარიტებაა ასახული ამ ერების მეხსიერებაში. უფრო მეტიც, მოსახლეობის უმრავლესობამ შეუძლებელია ზეპირად იცოდეს საკუთარი ქვეყნის ისტორია დასაბამიდან თანამედროვეობამდე. მაგრამ აშკარაა, მათ სოციალურ და პოლიტიკურ ქცევაზე გავლენას ახდენს ადრეულ ასაკში ჩანერგილი ინფორმაცია. უფრო მეტიც, პოლიტიკოსები და რელიგიური მოღვაწეები პერიოდულად კვებავენ საკუთარ ხალხს მათთვის სასურველი კუთხით დანახული ისტორიული ფაქტებით. ამიტომაცაა, რომ იმის მიუხედავად, ამ სახელმწიფოების უმეტეს წილად მტერი, დროის ერთ გარკვეულ პერიოდში, ერთი და იგივე იმპერიები ჰყავდათ, საპასუხო რეაქციები კი სამივეს განსხვავებული ჰქონდა.

შესაბამისად, დავრწმუნდი, რომ თეორია კოლექტიური მეხსიერების შესახებ, რაც განაპირობებს საზოგადოების ქცევის წესებს ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, ამ სამ სახელმწიფოსთან მიმართებაში გამართლებული და ურყევია. კვლევის განმავლობაში მოვახდინე თეორიისა და იმ ისტორიული ფაქტების შედარებითი ანალიზი, რომლითაც თუნდაც დღევანდელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებნი შეზღუდულნი არიან სხვადასხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებებში. ისინი სრულიად ასახავენ საკუთარი ხალხების ისტორიულ გზას და მოთხოვნილებებს.

კოლექტიური მეხსიერება არ შეიძლება ცალსახად დადებით კონტექსტში განვიხილოთ, იგი შესაძლოა კარჩაკეტილობის და კონფლიქტების საფუძველი გახდეს. თუმცა, ეს ფენომენი, უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, დაძლევადია. მისი მაგალითია ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებებიც გამუდმებით შეიარაღებულ კონფლიქტებში იყვნენ ერთმანეთთან და განმასხვავებელიც უფრო მეტი ჰქონდათ ერთმანეთისგან, ვიდრე სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოებს.

გარეშე შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრის შემდეგ, რაც ძირითადად რუსეთის ფედერაციის დღევანდელი მილიტარისტული და იმპერიალისტური პოლიტიკაა, სახელმწიფოები ადვილად მივლენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ის კი არაა მნიშვნელოვანი ვინ რომელი ცივილიზაციიდანაა, ან რომელ ეთნიკურ-ენათა ჯგუფს განეკუთვნება და რა გადაწყვეტილებები მიიღო მათმა სამშობლომ შუა საუკუნეებში, არამედ ის, რომ მისი მთავარი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო მთავარი გამოწვევა ეკონომიკური კეთილდღეობა და მშვიდობის შენარჩუნება.

ბიბლიოგრაფია

Asmus, R. (2010). *A Little War That Shook the World.* New York City: St. Martin's Press.

eeas.europa.eu. (2014). *eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/*. Retrieved from eeas.europa.eu: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/index_en.htm

europa.eu. (2009, May 06). *europa.eu/rapid/press-release*. Retrieved from europa.eu: http://europa.eu/rapid/press-release_IP-09-700_en.htm

europa.eu. (2009, May 06). *europa.eu/rapid/press-release*. Retrieved from europa.eu: http://europa.eu/rapid/press-release_IP-09-700_en.htm

Forsyth, J. (2013). *The Caucasus: A History, .* Cambridge: Cambridge University Press.

Gamkrelidze, G. (2012). *Researches in Iberia-Colchology.* Tbilisi: Georgian National Museum.

Grevi, G., & Keohane, D. (2014). *eap-csf.eu/assets/files/Challenges_for_European_Foreign_Policy_in_2014.* Retrieved from eap-csf.eu: http://eap-csf.eu/assets/files/Challenges_for_European_Foreign_Policy_in_2014.pdf

Halbwachs, M. (1992). *On Collective Memory.* Chicago: Univerity of Chicago Press.

Illis, B. (2012, May 24). *http://www.telegraph.co.uk/travel/destinations/middleeast/azerbaijan/*. Retrieved from telegraph.co.uk: http://www.telegraph.co.uk/travel/destinations/middleeast/azerbaijan/9287045/Baku-Azerbaijan-Dubai-of-the-Caucasus.html

Lehne, S. (2014, May). *carnegieendowment.org/files/external_relations_paper.* Retrieved from carnegieendowment.org: http://carnegieendowment.org/files/external_relations_paper.pdf

Lortkipanidze, M. (1983). *A Glimpse of Georgian History.* Tbilisi: Georgian Society for cultural relations with compatriots abroad.

Metreveli, R. (1995). *A History of Georgia.* Tbilisi: Tbilisi.

Reuters. (2014, Oct 10). *rt.com/business/194920-armenia-joins-eurasian-economic-union/* . Retrieved from www.rt.com: http://www.rt.com/business/194920-armenia-joins-eurasian-economic-union/

Stearns, P., Adams, M., Schwartz, S., & Gilbert, S. (2006). *World Civilizations, the Global Experience.* Pearson.

Vardaryan, R. (2003). *From Urartu to Armenia.* Neuchâtel: Recherches et publications.

Микаелян, Г. (1952). *История Киликийского армянского государства.* Ереван: Ереван.

ბ., ხ. (2014). *აფხაზთა მუჰაჯირობა.* თბილისი: არტანუჯი.

ბარტოლდი, ვ. ვ. (1935). *აზერბაიჯანის ისტორიის მოკლე მიმოხილვა.* თბილისი: სახუნტის გამომცემლობა.

გ. იაგუტოვ, რ. ბადალიან, ა. მირზოიან, ე. სააკიან, ა. ოჰანიან, . (2011). *სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918, .* თბილისი.

გურული, ვ. (2013). *საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921).* თბილისი: უნივერსალი.

გურული, ვ. (2010). *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811-1814).* თბილისი: უნივერსალი.

გურული, ვ. (2013). *ყარსის ხელშეკრულება.* თბილისი.

ვ. გურული, ლ. ჯიქია,. (2013). *ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში.* თბილისი: მერიდიანი.

ვ. შუბითიძე, ნ. წერეთელი. (2013). *ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება (საქართველოს, ევროპული იდენტობა).* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ვაშაყმაძე, ნ. (2002). *სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთ ურთიერთობებში 1917-1921 .* თბილისი.

ვაჩნაძე, მ. (2003). *რუსეთის ისტორია XIX ს.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვაჩნაძე, მ. (2005). *რუსეთის ისტორია XIX საუკუნე.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თინიკაშვილი დ., ჯაში ზ. (2012). *მსოფლიო რელიგიები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მ. ხორენაცი, ა. ა. (1984). *სომხეთის ისტორია.* თბილისი: თბილისი.

მირიანაშვილი, ნ. (2012). *საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წწ.* თბილისი: უნივერსალი.

მიქაძე, ი. (2002). *ნავთობი და გაზი - კავკასია.* თბილისი: ცოტნე.

ნეშუმაშვილი, ე. (2002). *ვინ არიან უდინები.* თბილისი: ქართული წიგნი.

პერტაია, დ. (2007). *სსრკ დაშლა და შეიარაღებული კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში.* თბილისი: უნივერსალი.

პიპინაშვილი, დ. (2009). *სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები.* თბილისი.

პიპინაშვილი, დ. (2009). *სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, .* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რონდელი, ა. (1996). *საერთაშორისო ურთიერთობები.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ს. ზედელაშვილი, ი. ჯ. (2015, ნოემბერი). აზერბაიჯანის ისტორია. (ი. მეგრელიშვილი, Interviewer)